პროფ. დოქ. ჰუსეინ ილმაზი



ისლამის მიმდევრები

რსს
მეგობრობა

ისლამის

მიმდევრები

პროფ. დოქ. ბუსგინ ილმაზი

muslimgeorgia
muslim georgia foundation
muslim international charity

რსსს
მამამთავრობა

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

„შუამავალს მაგალითებით საუბარი უყვარდა. ზოგჯერ ძველად მომხდარ მოვლენას მოყვებოდა და სურდა, რომ მიმდევრებს მისგან გაკვეთილი მიედოთ. ზოგჯერ შედარებებს აკეთებდა და თავის ლამაზ სიტყვებს მაგალითებით ამდიდრებდა. ისეთი ეფექტური, სადა და გულწრფელი საუბარი იცოდა, რომ...

შუამავლს თავისი მიმდევრები ძალიან უყვარდა. მისი დარდი მიმდევრების ამქვეყნიური და იმქვეყნიური ყოფა იყო. მას სურდა, რომ მის მიმდევრებს გადარჩენის მნიშვნელობა სცოდნოდათ, ერთიმეორის სიმშვიდისთვის ეზრუნათ და კაცობრიობისათვის მშვიდობა და სამართალი მოეტანათ. მისი ამოუწურავი იმედი და ვედრება მიმდევრებისთვის იყო განკუთვნილი. იმ დღესაც მეგობრებთან ერთად საუბრობდა. ისლამის მიმდევრების ბირთვი მისი ეს მეგობრები იყვნენ. შუამავალს სურდა მათ თავიანთი მნიშვნელობა და იღბლიანობა სცოდნოდათ, ამიტომ ეუბნებოდა: „მუსლიმების, იუდეველებისა და ქრისტიანების მდგომარეობა შემდეგ რამეს გავს: ერთი კაცი რამოდენიმე ადამიანს ქირით დაიქირავებს, რათა დილიდან საღამომდე ამუშაოს. მუშებმა შუადღემდე იმუშავეს და დამქირავებელს უთხრეს: ჩვენ შენი გასამრჯელო

არ გვჭირდება, აქამდე რაც ვიმუშავეთ არც იმისთვის გვინდა რაიმეო. დამქირავებელმა გაიოცა და მუშებს სთხოვა, საღამომდე ემუშავათ და მთლიანი გასამრჯელო მიეღოთ. მუშებმა საბოლოოდ იუარეს და იქაურობას გაშორდნენ. დამქირავებელმა სხვა მუშები ნახა და უთხრა, რომ თუ დარჩენილ საქმეს დაასრულებდნენ, ადრინდელების ნამუშევარსაც და მათ მიერ გაკეთებულსაც ერთიანად ამ უკანასკნელებს გადაუხდიდა. მუშების ჯგუფი მუშაობას შეუდგა, მაგრამ სამხრობა რომ მოახლოვდა მათაც მუშაობის გაგრძელებაზეც და გასამრჯელოზეც უარი თქვეს. დამქირავებელმა ამათაც უთხრა, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, ცოტა ხანში ისედაც დაღამდება და გასამრჯელო სრულად აიღეთო, მაგრამ მათ იუარეს.

დამქირავებელმა დარჩენილი საქმის ბოლომდე მისაყვანად ისევ ახალი მუშები დაიქირავა. ამ უკანასკნელებმა დარჩენილი სამუშაო ბოლომდე მიიყვანეს და მთელი დღის სამუშაოს გასამრჯელო მათ აიღეს. ეს იგავი იმას ნიშნავს, რომ იუდეველებმა და ქრისტიანებმა სწორი გზა შუაში მიატოვეს, ხოლო მუსლიმების მდგომარეობა მესამე ჯგუფის მდგომარეობას გავს“ (ბუჰარი, იჯარე 11)“

იბადება "უმმაჰ"...

შუამავალს ჯერ კიდევ შუამავლობის მისია არ ჰქონდა მინიჭებული. იემენიდან მექაში ჩამოსულმა ერთ-ერთმა ვაჭარმა თან წამოღებული საქონელი მექაში გაყიდა. მყიდველმა შეთანხმება დაარღვია და ვაჭარს ფული არ გადაუხადა. ვაჭარი მიხვდა, რომ კუთვნილ ფულს ვერ აიღებდა, ამიტომ წარჩინებული გვარების ლიდერებს მიმართა და დახმარება სთხოვა. მისმა ამ მცდელობამ არ გაამართლა და ვერავინ დაეხმარა. მეორე დღეს გამწარებული ვაჭარი ებუ ქუბეისის გორაზე ავიდა და ხმამაღლა წაიკითხა ლექსი, რომელიც მის ამ მდგომარეობას და მის თავს გადახდენილ უსამართლობას ასახავდა.



შუამავალი ბრძანებს:
„ღვთის წინაშე
დედამიწის
განადგურება
უფრო მსუბუქია,
ვიდრე ერთი
მუსლიმის
მკვლელობა“

(თირმიზი, დიათ 7)

ამ ამბავმა შუამავლის ბიძა ზუბეირ იბნ აბდულმუტტალიბი ძალიან შეაწუხა. ის ქალაქის ყველაზე მდიდარ ადამიანთან, აბდულლაჰ ბინ ჯუდანთან მივიდა და ამ საკითხის მოგვარების მიზნით სათათბიროს მოწვევაზე დაიყოლია. თათბირზე გადაწყდა, რომ ამგვარი უსამართლობისგან მათი ქალაქი დაცული უნდა ყოფილიყო და ამის წინააღმდეგ ბრძოლის პირობით ფიცი დადეს. ამ მიზნის მისაღწევად მათ გადაწყვიტეს შეექმნათ ჯგუფი, რომელიც მოხალისეებით იქნებოდა დაკომპლექტებული და მსგავსი საკითხების მოგვარებაზე იმუშავებდა. შუამავალი იმ დროს ოცი წლის იყო და ისიც ამ ჯგუფში გაწევრიანდა.

შუამავალი ამ ფგუფის საქმიანობას შუამავლობის მისიის შემდეგაც დადებითად მოიხსენიებდა. ის ამბობდა, რომ მექაში სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით შექმნილ ამ გაერთიანებას აქლემების მთელ ქარავანშიც არ გაცვლიდა და საჭირო რომ გახდეს ისევ ჩაეწერებოდა. აღნიშნული ჯგუფის დებულებაში ეწერა: „ვფიცავთ ღმერთს, რომ მექაში თუ ვინმე უსამართლოდ დაიჩაგრება, ცუდი იქნება ის თ კარგი, ადგილობრივი თ უცხო, სანამ მისი უფლება არ აღდგება ერთიანად ვიმოქმედებთ“.

აღნიშნული მოვლენა და ამის თაობაზე შექმნილი ეს ჯგუფი და მისი საქმიანობა ცხადყოფს, რომ უმეცრების ხანის მექაში განუკითხაობა იყო გაბატონებული. მექა მთელი რეგიონის სავაჭრო ცენტრი იყო და ქააბას წყალობით სასულიერო ცენტრის სტატუსიც ჰქონდა. ამის მიუხედავად ქალაქის მმართველობის რაიმე პილიტიკური ფორმა არ არსებობდა. იგივე სიტუაცია იყო მედინასა და მთელ არაბეთის ნახევარკუნძულზე. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უსამართლობის მსხვერპლი ვერსად გაასაჩივრებდა, რადგან მსგავსი ტიპის დაწესებულება არ არსებობდა. ირგვლივ ძალმომრეობა მძვინვარებდა და ძლიერი სუსტს უმოწყალოდ ჩაგრავდა. გვარებს შორის სასტიკი მტრობა იყო, ამიტომ ისინი ვერ ერთიანდებოდნენ. მშვიდობა, კეთილდღეობა, უსაფრთხოება წარმოუდგენელი იყო.

შუამავლობის პერიოდის დაწყება, ამავდროულად უმეცრების ხანის დასრულებას ნიშნავს. შუამავალი თავისი შუამავლობის მისიის განხორციელებას და ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებას, პირველ წლებში, ფარულად ცდილობდა. ჯერ ნათესავებითა და ახლო მეგობრებით დაიწყო. ასე გაგრძელდა სამი წელი, შემდეგ კი შუამავალს მოუვიდა ღვთიური ბრძანება, რომლის მიხედვითაც უკვე აშკარად უნდა ექადაგა.

„თქვენ მორწმუნე
მიმდევრების რაოდენობა
სამოცდაათამდე
გაზარდეთ.
ღვთის წინაშე
მიმდევართა
შორის ყველაზე
სასიკეთო და
ძვირფასი თქვენ ხართ“
- ბრძანებდა შუამავალი
და ისლამის პირველ
მიმდევრებს
ასე აქებდა.
ასე მცირე რაოდენობით
დაწყებული
მუსლიმების რაოდენობა
მილიარდებამდე
გაიზარდა.

შუამავალმა ჯერ მამის ხაზით ახლო ნათესავებით დაიწყო და ისლამის მიღებისკენ მოუწოდა. შემდეგ მექაში მდებარე ერთ-ერთ გორაკზე, საფაზე ავიდა და მთელი ხმით ხალხს შეკრებისკენ მოუხმო. „ია საბაჰაჰ“ იძახოდა ის და ეს სიტყვები არაბებში დიდი საფრთხის მოახლოებისას გამოიყენებოდა. ამის გაგონებაზე ხალხი მაშინვე იმ გორაკთან შეიკრიბა. შუამავალმა მათ ჰკითხა: „რომ გითხრათ, რომ ამ გორაკის უკან ჩვენზე თავდასასხმელად გამზადებული ჯარი გდას- მეთქი, დამიჯერებს?“ ხალხმა ერთხმად უპასუხა, რომ დაუჯერებდნენ, რადგან მანამდე ტყუილი არასოდეს ეთქვა. „მაშინ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ დიდი სასჯელის წინაშე დგახართ“ - უთხრა შუამავლმა. ხალხს გაუკვირდა და ბევრი მათგანი, მათ შორის შუამავლის ბიძა ებუ ლეჰები შუამავალს დაუპირისპირდა. ამავდრულად მათ კარგად იცოდნენ, რომ შუამავალი ტყუილს არ იტყოდა. სწორედ მათ შეარქვეს მეტსახელად „მუჰამმედულ ემინ“ ანუ სანდო მუჰამმედი. შუამავალს არასოდეს უთქვამს ტყუილი და არც იმ დღეს ამბობდა.

ისლამის მიმდევრების მოქცევა

მექაში ამის შემდეგ მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. შუამავალზე ამ წმინდა მოვალეობის დაკისრებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებული იყო. ისტორიისათვის ორმიცდაათი წელი ძალიან ხანმოკლე პერიოდია და ამ მოკლე ხანში არაბეთის მიწებზე სრულიად ახალი საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელსაც ისლამის „უმმაჰ“ ეწოდება. ამ მოკლე ხანში, წარსულთან შედარებით სრულიად ახალი ღირებულებების მქონე საზოგადოება ჩამოყალიბდა. ეს იყო ახალი საზოგადოების დაბადება და მოქცევა. ეს ახალი მოძრაობა მხოლოდ ერთ ან ორ ქალაქში, ან არაბეთის ნახევარკუნძულზე კი არ დარჩა, ის არაბეთის მიმდებარე ტერიტორიებზეც გავრცელდა.

შუამავალმა წლების წინ იცოდა,რომ ამ ტერიტორიაზე ისლამი გავრცელდებოდა და ქვეყანა უსაფრთხო გახდებოდა. ამის შესახებ მან წინასწარვე განაცხადა. ერთხელ, როცა ქააბას ჩრდილში ისვენებდა, მასთან პირველი

მუსლიმანთაგან რამოდენიმე ადამიანი მივიდა და შესჩივლეს, რომ ურწმუნოები ძალიან ავიწროებდნენ. „ნუთუ არ გვეხმარები? ნუთუ ჩვენთვის ღმერთს არ ევედრები?“ - ჰკითხეს. ამის გაგონებაზე შუამავალს ფერი ეცვალა და უპასუხა: „თქვენამდე არსებობდნენ ისეთი მორწმუნეები, რომლებსაც მიწაში მარხავდნენ და მახვილით თავებს უპობდნენ. ზოგს რკინის სავარცხლებით კანს ხდიდნენ, მაგრამ ისინი ჭეშმარიტ რწმენას არ ღალატობდნენ. ვფიცავ, ღმერთი ამ სარწმუნოებას დაამკვიდრებს. ისეთი დრო დადგება, რომ მგზავრი სანადან ჰადრამევთამდე აქლემით ისე ჩავა, მგზავრობის დროს ღმერთის შიშის გარდა სხვა შიში არ ექნება. ცხვრის პატრონს მხოლოდ მგლის დარდი ექნება. თქვენ ძალიან გეჩქარებათ“.

შუამავლის ეს წინასწარმეტყველება გამართლდა და მისი გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ, არამარტო არაბეთის ნახევარკუნძულზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, ისლამის მმართველობა დამკვიდრდა, რამაც აღნიშნულ რეგიონებში მშვიდობა და კეთილდღეობა მოიტანა. აზიის, ევროპისა და აფრიკის შეერთების ადგილას, სადაც მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი

სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები მიმდინარეობდა ისლამის მმართველობა დამკვიდრდა. აღნიშნული ტერიტორია პოლიტიკურადაც და ადმინისტრაციულადაც ერთიანი იყო და ერთიან მმართველობას იყო დაქვემდებარებული. გარდა ამისა, იმ პერიოდის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები, ბიზანტია და ირანი მუსლიმთა ჯარების წინაშე უძლურნი იყვნენ.

ყველა ეს მოვლენა მუსლიმი საზოგადოების გამრავლებას, განვითარებასა და გამდიდრებას ნიშნავდა. „თქვენ მორწმუნეთა რაოდენობა სამოცდაათზე აიყვენთ. მორწმუნეთა შორის,ღვთის წინაშე, ყველაზე სასიკეთო და ძვირფასი თქვენ ხართ“ (იბნ მაჯე, ზუჰდ 34). ასე შეაქო შუამავალმა პირველი მუსლიმები. ასე ერთი მუჭა მუსლიმებით დაწყებული ეს სარწმუნოება გავრცელდა და მილიარდობით მიმდევარი ჰყავს. როგორც წყალში ჩაგდებული ქვა წარმოქმნის რგოლებს და ეს რგოლები ირგვლივ გავრცელდება, ისლამიც ისე გავრცელდა და გაიშალა. მორწმუნეთა მასა, რომელმაც ღვთის უკანასკნელი გზავნილი იწამა და ამ გზაზე ყველა დაბრკოლებას გაუძლო კიდევ მრავალგზის გახდა ქების ღირსი. შუამავალი ბრძანებს: „ჩვენ (ამ ქვეყნად)

ბოლო მოვედით, განკითხვის დღეს კი ყველაზე უწინ ჩვენ გავალთ. სამოთხეშიც პირველები ჩვენ შევალთ“. (მუსლიმ, ჯუმა, 20)

ისლამის მიმდევრებმა, სხვა სარწმუნოების მიმდევრებისგან განსხვავებით, თავიანთი შუამავალის ფასი გაიგეს, რწმენას გულით მოეკიდნენ და ამრიგად ღვთის წყალობის პატივი ერგოთ. ყურანში ნაბრძანებია:

„თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის. ხოლო რომ ეწრმუნათ ღვთიური წიგნის ხალხს, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ გზასამცდარნიც არიან დიდი ნაწილი მათგან“. (ალი იმრან, 110)

„და ამგვარად დაგადგინეთ თქვენ შუა (სამაგალითო) თემად, რათა მოწმენი იყოთ ადამიანთა მიმართ და შუამავალი მოწმე იყოს თქვენს მიმართ. და დავადგინეთ ყიბლე, რომლისკენაც იდექი მხოლოდ იმიტომ, რომ გამოგვეცნო (გამოგვემჟღავნებინა) ვინ მიჰყვება შუამავალს და ვინ გაბრუნდებოდა უკან

ქუსლებზე შემდგარი. სწორედაც მძიმე იყო ეს, მაგრამ არა იმათთვის, რომელნიც სწორ გზას დააყენა ალლაჰმა. ალლაჰი არ დაგიკარგავთ თქვენსავე რწმენას. უეჭველად, ალლაჰი ლმობიერი და მწყალობელია ხალხის მიმართ“ (ბაყარა 143)

მეორეს მხრივ შუამავლის მიმდევრები დედამიწაზე მცხოვრები სხვა ხალხებისათვის „მოდელადაა“ წარმოდგენილი. როგორც ბაყარას სურას 143-ე აიათშია ნაბრძანები, მუსლიმი თემი სამაგალითოდაა წარმოცენილი და ისლამის შუამავალი ამ თემისათვის სამაგალითო ლიდერია. ესოდენ დიდი პატივი ბუნებრივია დიდ პასუხიმგებლობას ბადებს. ისლამის თემის თითოეული წევრი რწმენისგან მიღებული ძალითა და ღირსებით უნდა მოქმედებდეს და მისი ყოველი ნაბიჯი კაცობრიობისათვის სამაგალითო უნდა იყოს.

შუამავალს თავისი მიმდევრები უზომოდ უყვარდა. მან თავის თანამებრძოლ მუსლიმებს „ასჰაბ“, მეგობრები უწოდა, ხოლო მომავალ მუსლიმებს -ძმები (მუსლიმ, თაჰარეთ 39). „ჩემი მიმდევრები წვიმას ჰგვანან. ადრინდელია უფრო უკეთესი თუ შემდეგი უცნობია“- ბრძანებ-

და შუამავალი და როგორც მაშინდელ, ისე შემდგომში მცხოვრებ მუსლიმებს მნიშვნელობას ანიჭებდა. (თირმიზი, ენსაი 8). მისი მიმდევრებისთვის მნიშვნელობა არ აქვს რომელ ეპოქაში მოუწევთ ცხოვრება, ან რომელი კულტურისა თუ ეთნოსის წარმომადგენლები იქნებიან. მათ ღვთისა და შუამავლისადმი სიყვარული აერთიანებთ.

ისლამიდან სკაბილუნობამდე

გასაოცარია იმ თემის ერთიანობა, რასაც ისლამის მიმდევრები ჰქვია. ისინი შუამავლის მოწოდებების მიხედვით ერთიან ბირთვად ჩამოყალიბდნენ. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ამგვარ გაერთიანებას ანალოგი არ ჰყოლია და ამ ერთიანობის კვალობაზე წარმოუდგენელი ძალა და ენერგია შეიქმნა. ამ ძალამ მარტო ტერიტორიები კი არა, ადამიანთა გულები დაიპყრო. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ორი გვარიც კი ერთიმეორესთან ვერ თანხმდებოდა და მუდმივი კინკლაობა ჰქონდათ. ისლამის ძალისმხევით ჯერ ქვეყანაში დამკვიდრდა უბადლო ერთობა, ხოლო შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ეს მცირე ჯგუფი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საერთოდ არ არსებობდა, როგორ მოხდა, რომ დედამიწის ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცა? მათი შვილები, შვილიშვილები და ახალი მიმდევრები წარმოუდგენლად მრავალრიცხოვანნი გახდნენ და მათი ეს წარმატება მხოლოდ ფიზიკური ძალით არ აიხსნება. თავიდან ესოდენ დიდი წარმატების მომასწავებელი რაიმე ნიშანი არ იყო თითქოს, მაგრამ სულ რაღაც ორმოცდაათი წლის შემდეგ მიღწეული შედეგები და თავბრუდამხვევი წარმატება უფრო ღრმა ანალიზისაკენ გვიბიძგებს.

ისლამი მიმდევრებს ისეთ ღირებულებებს სთავაზობდა, რომლებიც ადამიანის შიანაგანი სამყაროს ცვლილებასა და გამდიდრებას იწვევდა. ეს იყო მორწმუნე და კეთილი საქმის მკეთებელი ადამიანების ურყევი ერთობა. მათ დიადი ცოდნისა და სწორი გზის წყალობით ურყევად გააგრძელეს სვლა. ისლამმა, ადამიანთა გულებში არსებული ბარიერები დაამსხვრია და მორწმუნე საზოგადოება ერთიმეორეს მტკიცედ დაუკავშირა, რამაც საბოლოო ჯამში ყველა იმ მიზეზის აღმოფხვრა გამოიწვია, რის გამოც შიდა აშლილობები და შიდა ომები ხდებოდა, რაც

უმეცრების ხანისთვის დამახასიათებელი ყოველდღიურობა იყო.

ყურანი ორივე პერიოდს, ისლამამდელსა და ისლამის მოვლინების პერიოდს ხშირად გვახსენებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და ისე არ ჩააბაროთ სული, მუსლიმად არ აღესრულოთ!

მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ. გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთე (წყალობა) თქვენდამი: და როცა იყავით მტრებად, შეგიერთათ გულები თქვენი და მისი სიკეთით (მადლით) ძმებად იქმენით თქვენ. და თქვენ როცა იყავით ცეცხლის უფსკრულის პირას, გიხსნა თქვენ მისგან. ამგვარად განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!“ (ალი იმრან, 102-103)

მუსლიმებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ რა ხდებოდა ისლამამდელ პერიოდში. როგორი დანაწევრებული, დაქუცმაცებული და ერთმანეთს წაკიდებული იყო ყველა. მათ არასოდეს უნდა დაივიწყონ ის ფაქტი, რომ ისლამმა ეს

ურთიერთმტრობას გადაყოლილი ხალხი ძმებად აქცია და მათგან ურყევი ერთობა ჩამოაყალიბა. შემდეგშ მოდის აიათები, რომლებიც ამ ერთობის სიცოცხლისუნარიანობის საჭიროებას გვიხსნის:

„(ო, მორწმუნენო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი.

და არ იყოთ იმათი მსგავსნი, რომელნიც დაიყვნენ და დაობდნენ მას შემდეგ, რაც ცხადი მტკიცებანი მოევლინათ. და სწორედ მათთვისაა (გამზადებული) მძვინვარე სასჯელი“. (ალი იმრან 104-105)

ისლამის „უმმაჰი“ გეოგრაფიულად კაცობრიობის ცენტრში აღმოცენდა და ამ ცენტრიდან მიმდებარე ტერიტორიაზე სწრაფად გავრცელდა, რის შედეგადაც მსოფლიო ცივილიზაციის წყაროდ გადაიქცა. მუსლიმთა ყველაზე დიდი დამსახურება არის ის, რომ მათ ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც შევიდნენ ერთი ღმერთის რწმენა და ამ რწმენის შესაბამისი ღირებულებე-

ისლამის „უმმაჰი“ შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც „უნივერსალური ძმობა“. მუსლიმთა ძმობა ყურანის აითითაა განმტკიცებული.

ბი დაამკვიდრეს. მუსლიმები, სადაც კი მიდიოდნენ, ადგილობრივ კულტურას პატივისცემით ეკიდებოდნენ და თავიანთი რწმენის ერთიან სისტემაში აქცევდნენ. ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, განსხვავებული კანის ფერის ადამიანები ისლამური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ხდებოდნენ. ამრიგად, ისლამი, როგორც უნივერსალური რელიგია მთელ დედამიწაზე გავრცელდა და მის მიერ მოტანილი ღირებულებები პრაქტიკულად განხორციელდა.

„რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან . მაშ,გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გეშინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ!“ (ჰუჯურათ 10)

ამრიგად მუსლიმები ძმებად თვით ღმერთმა დაადგინა. შუამავლის ცხოვრებაც ნათელი მაგალითია იმისა, რომ მორწმუნე საზოგადოებაში ძმობა და ერთობა უნდა იყოს. მუსლიმებს შორის ძმობა საუკუნეების განმავლობაში გრძელდება.

ისლამური საზოგადოება, ერთიმეორის მიმართ გამოჩენილი პატივისცემით, ერთიანობით და სულიერი ძმო-

ბით, ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი ღირსებას ინარჩუნებდა. ისინი ერთი ღმერთის წინაშე სეჯდეზე ემხობოდნენ, ერთი მიმართულებით აღავლენდნენ ლოცვას და ამით გამოწვეული სიმშვიდით არსებობდნენ. სწორედ ეს სული იყო ის მთავარი ძალა, რომელიც სინდისდაკარგული და ულმობელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში აძლებინებდა.

დღეს მთელ მსოფლიოში თითქმის არ მოიძებნება ისეთი გეოგრაფიული ერთეული, სადაც მუსლიმები არ ცხოვრობენ, ამიტომ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს ისლამის უნივერსალური ერთობა

ისლამური ძმობის უნივერსალურობა

მუსლიმთა ძმობა ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ეს კი გონების, გულისა და ძალების გაერთიანებას საჭიროებს. ისლამური საზოგადოების წევრები გადაწყვეტილებების მიღებისას ერთიანი პრინციპით მოქმედებენ. მათი განსხვავებულობა მრავალფეროვნებადაა გადაქცეული. ისინი იცნობენ ერთმანეთს და უყვართ. მუსლიმები ერთმანეთს ეხმარებიან და მატერიალურ თუ სულიერ დანაკლისს უნაზღაურებენ. უნივერსალური ძმობა გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და განსხვავება, თუნდაც უპირატესობა მხოლოდ ღვთისმოშიშობის ხარისხით განისაზღვრება.

მუსლიმთა ძმობის ერთიანობა ისლამის ისტორიაში შემონახული უბადლო მაგალითებით მტკიცდება. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით უკუსვლა შეინიშნება, მაინც დასტურდება, რომ მუსლიმთა ძმობა გრძელდება. სადაც არ უნდა წახვიდეთ მუსლიმებს შორის ძმობის მაგალითებს ნახავთ. ნებისმიერი მუსლიმი,რომელიც

ოჯახს, ახლობლებს მოწყვეტილია და სხვა ქვეყანაში მოღვაწეობს, იქ მცხოვრები მუსლიმებისგან განსაკუთრებულ სიახლოვეს იგრძნობს და მარტო არასოდეს რჩება.

„ისლამის თემი“ მთელ მსოფლიოში მცხოვრები მუსლიმების ერთობლიობაა, მიუხედავად მათი ეროვნებისა და მიმდინარეობისა. ეს არის საკმაოდ ფართომასშტაბიანი ერთიანობა. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედამიწის თითქმის ყველა გეოგრაფიულ ერთეულში მუსლიმები სახლობენ და ამდენად მუსლიმთა ერთიანობა საერთაშორისოა.

დღეს მთელ მსოფლიოში მცხოვრები მუსლიმების ეთნიკური რუკა და მათი ზუსტი რაოდენობა დათვლილი არ არის. გასული საუკუნის ბოლოს ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ისლამის სარწმუნოებას მსოფლიოს 300-ზე მეტი ეროვნების ხალხი მისდევს. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის შესახებ შეიძლება არც არაფერი ვიცოდეთ, მაგრამ იქ არიან ადამიანები, რომლებიც ისლამის თემის წევრები არიან. ამ ბოლო დროს ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვი-

თარეგამ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმებიც ერთმანეთს დააკავშირა, თუმცა, სამწუხაროდ მუსლიმები ხშრად ერთმანეთის არსებობას მაშინ აღმოვაჩენთ, როდესაც რომელიმე ჩვენგანის თავზე რაიმე უბედურება დატრიალდება.

თავდასხმები, რომლებიც ისლამის ერთიანობის ხელყოფას ისახავდა მიზნად

ისლამის გავრცელებიდან სულ მცირე ხნის გასვლის შემდეგ შიდა აჯანყებებმა და სასტიკმა შეტაკებებმა იჩინა თავი, მაგრამ შუამავლის მიერ თავიდანვე ჩადებულმა სწორმა მიდგომამ და ჯანსაღმა საფუძველმა ისევ იმუშავა და ისლამის გავრცელება არ შეწყვეტილა.

ისლამის მიმდევართა უმეტესობა მუსლიმთა ერთიანობასა და გადარჩენას წმინდა მიზნად მიიჩნევდა და ამისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. ისინი მზად იყვნენ ამ დიადი მიზნისათვის სიცოცხლეც კი გაეწირათ.

ისლამის მიმდევრები
შეგვიძლია ასევე
განვმარტოთ, როგორც
„უნივერსალური ძმობა“

ისლამის წარმოშობიდან პირველივე საუკუნეში საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალში გავრცელდა და ეს ტერიტორიები დღესაც ისლამის მიმდევართა საცხოვრებელია. აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალი ეთნიკური წარმოშობისა და კულტურის მქონე ხალხი ცხოვრობდა. ეს ყველაფერი ისლამის ცივილიზაციას შეერწყა და ერთ-ერთი უდიდესი ცივილიზაცია წარმოიქმნა. ისლამმა აღნიშნულ ტერიტორიაზე განათლება, განვითარება და მშვიდობა მოიტანა. ამიტომ იყო, რომ მიმდევრები ისლამისადმი კავშირს უფრო მაღალ საფეხურზე აყენებდნენ, ვიდრე ეთნიკურ თუ სხვა სახის კუთვნილებას. ისლამის მიერ შეთავაზებული ღირებულებები, მიზნები და იდეალები საფუძვლიანი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

მეორეს მხრივ, მთელი ისტორიის მანძილზე ისლამის თემის წინააღმდეგ მიმართული შეტევები მუდმივად ხორციელდებოდა. ამ მიმართულებით ორი მთავარი განსაცდელი იყო; ჯვაროსნული ლაშქრობები და მონღოლთა შემოსევები. მიუხედავად დიდი განსაცდელისა მუსლიმებმა გადარჩენა შეძლეს და მათი მთლიანად განადგურების გეგმები ვერ განხორციელდა. ამ თავდასხ-

მების შედეგად ვერც ჯვაროსნებმა და ვერც მონღოლებმა საბოლოოდ ვერ გაიმარჯვეს, რადგან ისინი ადამიანებს ისლამის მიერ კაცობრიობისათვის შეთავაზებულ ღირებულებებზე უკეთესს არაფერს სთავაზობდნენ. ისენი მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე დამყარებული თავდასხმები იყო, ამიტომ საბოლოო ჯამში წარმატებას ვერ მიაღწიეს და ისლამის თემი ამდენი ზეწოლისა და თავდასხმების მიუხედავად ისევ ფეხზე წამოდგა. მუსლიმებმა თავიანთი სულიერი ღირებულებები არამარტო ლოკალურად იმ ტერიტორიაზე შეინარჩუნეს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, არამედ მთელ მსოფლიოს გააცნეს.

ისლამური თემის წინააღმდეგ მესამე თავდასხმა ევროპიდან წამოვიდა. ეს უკანასკნელი თავდასხმა უფრო ეფექტური გამოდგა და მისგან მიყენებული ზიანი უფრო თვალსაჩინოა. ამ უკანასკნელი თავდასხმის შენიღბული სახელი „მოდერნიზმია“. მანამდე კი, კერძოდ მე-18, მე19- საუკუნეებში, აღნიშნული თავდასხმა ისევ სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ფაქტორი ახალი შეიარაღება და სამხედრო უპირატესობა გახლდათ. ამ პროცესის პარალელურად ევროპიდან წამოვიდა პროპაგანდა, რომელიც

აღნიშნული თავდასხმების შენიღბვას ემსახურებოდა. ეს მოდერნისტული მოძრაობა ქრისტიანობის გავრცელებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარების მიზნის საფარს ქვეშ მოქმედებდა, რამაც, საბოლოო ჯამში, ისლამი და მუსლიმი თემი საგრძნობლად დაზიანა.

ამგვარი გამოწვევის წინაშე დარჩენილი ისლამური სამყარო მოდერნისტული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. ევროპაში ჩამოყალიბებული მოდერნისტული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლაში ისლამური სამყარო მოუმზადებელი აღმოჩნდა და ამიტომ ეს ბრძოლა საკმაოდ რთული გამოდგა. მუსლიმთა მატერიალური და ინტელექტუალური მდგომარეობა შედარებით სუსტი იყო, რაც შესაბამის მდგომარეობაში გამოიხატა.

muslimgeorgia
Muslim International Charity

შუამავლის
მიმდევრები
ხალხისთვის
სამაგალითოდ
იქნა წარდგენილი.
ყოველი
მუსლიმი, თავისი
რწმენისგან
მიღებული
ძლიერებითა
და ღირსებით, თავისი
ყველა
გამოხატულებით
კაცობრიობისთვის
სამაგალითო იქნება.

muslim georgia
muslim georgia muslim international academy of education

მოდერნიზმი წარმოადგენდა ახალ, უნივერსალურ ცივილიზაციას, რომელიც გონიერებას, მატერიალიზმსა და ინდივიდუალიზმს ეფუძნებოდა. მოდერნისტული მოძრაობის დასაწყისში მუსლიმი საზოგადოების მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. ისინი ყველანაირი ძალებისგან დაცლილ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ იმის ძალაც კი აღარ შესწევდათ, რომ თავიანთი ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომლებიც წინაპართაგან ერგოთ, დაეცვათ და ამ მიმართულებით მომუშავე საგანმანათლებლო დაწესებულებები შეენარჩუნებინათ. ახალ მიწებზე მცხოვრები უმწიფარი შვილები ისლამის მიერ მოტანილ ღრებულებებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყვნენ ჩამწვდარი, რომ ეს ახალი ცივილიზაცია თავს დაატყდათ და მათაც დუმილი ამჯობინეს. საბოლოო ჯამში ისლამმა მოდერნიზმის მიერ მოტანილი ღირებულებების უგულებელყოფა ვერ შეძლო და გამოიმუშავა ახალი მიდგომები, რომლებიც შედეგის თვალსაზრისით მოდერნიზმის გავლენის ქვეშ მოქცევას ნიშნავდა.

ამგვარმა ზემოქმედებამ თავისი კვალი დააჩნია, როგორც მუსლიმთა მხრიდან სარწმუნოებისადმი დამოკიდებულებას და ცხოვრების წესის ფორმირე-

ბას, ისე ისლამური სამყაროს ინტელექ-
ტუალურ და პოლიტუკურ დღის წეს-
რიგს. დღეს, თანამედროვე სამყაროში,
მოდერნისტულ ქვეყნებშიც კი თვითკ-
რიტიკა ისმის და კითხვის ნიშნის ქვეშ
დგება იდეა, რომლის მიხედვითაც ამტ-
კიცებდნენ, რომ მოდერნიზზმა მსოფ-
ლიოს უნივერსალური ღირებულებები
მიაწოდა.

რაც შეეხება მუსლიმ საზოგადოე-
ბას, მათ აზრს ძალა უნდა დაატანონ
და ამდენად საკამათო იდეები საკუ-
თარი რწმენის საფუძვლების მიხედვით
გაანალიზონ. ისლამური საზოგადოე-
ბის შიგნით დღითიდღე მატულობს იმ
ადამიანების რაოდენობა, რომლებიც
სწორ ხედვას აფიქსირებენ, ჭეშმარიტე-
ბას სწვდებიან, საკუთარ თავს ცნობენ
და სიკეთეს თესავენ. ისტორიულ მემკ-
ვიდრეობაზე დაყრდნობით დღეს მუს-
ლიმები შედარებით სწორ დასკვნებს
აკეთებენ და თავიანთ გადაწყვეტილე-
ბებში ისლამის არსის შესაბამისად
მოქმედებენ, ეს კი დამაიმედებელი ტენ-
დენციაა. მათი ასეთი მცდელობა, მთე-
ლი მსოფლიო ხალხისთვის, გაცილე-
ბით უკეთესი საცხოვრებელი გარემოს
შესაქმნელად არის მიმართული.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და ისე არ ჩააბაროთ სული, მუსლიმად არ აღესრულოთ!

მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ. გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთე (წყალობა) თქვენდამი: და როცა იყავით მტრებად, შეგიერთათ გულები თქვენი და მისი სიკეთით (მადლით) ძმებად იქმენით თქვენ. და თქვენ როცა იყავით ცეცხლის უფსკრულის პირას, გიხსნა თქვენ მისგან. ამგვარად განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!“ (ალი იმრან, 102-103)

ისლამის მიმდევრების მოძაღლი

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებით თუ დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ისლამური სამყაროს დაქვემდებარებაში არსებულ მიწებზე ისტორიული დიდება ნათლადაა წარმოჩენილი. მუსლიმური საზოგადოების ეთნიკური მრავალფეროვნება ისტორიული სიმდიდრე იყო, დღეს კი ეს მრავალფეროვნება ისლამური საზოგადოების გასახლეჩად და დასანაწევრებად გამოიყენება. შუამავლის მიერ გავრცელებული სარწმუნოების წყალობით შესაძლებელი გახდა ისეთი ტრადიციის დავიწყება, როგორიც იყო ეთნიკურ ერთეულებში მიღებული წესების უსიტყვო მორჩილება. სამწუხაროდ, დღეს შეინიშნება ტენდენცია, რომელიც საზოგადოებაში ფაშისტური იდეების გაღვივებას უწყობს ხელს. ამგვარი დამოკიდებულება უმეცრების ხანიდან მოდის და მისი ერთადერთი მიზანი ისლამური საზოგადოების გაყოფაა. ისლამური ქვეყნების მომავალი გარე სახელმწიფოების გავლენის ქვეშ ფორმირებას განაგრძობს. ამ ქვეყნების მმართველები ხალხზე მომსახურებისა და მუსლიმთა პრობლემების მოგვარების მაგივრად ისეთ დამოკიდებულებას ავლენენ, რო-

მელიც საკუთარი ხალხის მიერ აღიარებული ღირებულებების წინააღმდეგია. უნდა გაიზარდოს ისეთი მმართველების რაოდენობა, რომლებიც ხალხის ინტერესებს საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენებენ და ხალხის უსაფრთხოებისა და სიმშვიდისათვის იზრუნებენ. როცა მმართველი კლასი ძალის დემონსტირებას ცდილობს, ამ დროს ხალხს მტრებად განიხილავს და ეს ფაქტი ისევ და ისევ მთავარ პრობლემად რჩება.

გარდა ამისა, მრავალი მოდერნისტული იდეოლოგია, რომლებიც უკვე მოძველებულია, ისლამურ სამყაროში ისევ უნივერსალურად ითვლება და ცდილობენ ისევ მოქმედი იყოს, რაც მუსლიმთა ურთიერთმტრობას იწვევს. აღნიშნული მდგომარეობა, შესაძლოა ყველაზე დიდ ტრავმად ჩაითვალოს, რაც საუკუნეების განმავლობაში ისლამური სამყაროს პრობლემაა და ყველა მის პრინციპს საფუძვლიანად აზიანებს.

ისლამური საზოგადოების მომავლისთვის სწორი მიმართულებაა მისაცემი და ეს, უპირველეს ყოვლისა, არსებული მდგომარეობის სწორად გაანალიზებაზეა დამოკიდებული. ხვალინ-

დელი საიმედო მომავალი მთლიანად დამოკიდებულია, იმაზე, თუ რამდენად სწორად გავაანალიზებთ არსებულ მდგომარეობას. ჩვენ სარკეში სწორად უნდა დავინახოთ ჩვენი ანარეკლი და სიმართლე თავისი სიცხადით ვაღიაროთ. დაავადების მკურნალობა მაშინაა შესაძლებელი, თუ დაავადების მიზეზს მივაგნებთ და სწორ დიაგნოზს დავსვამთ.

და ბოლოს

ისლამურმა საზოგადოებამ ბოლო ორასი წლის მანძილზე განვითარებული მოვლენები, დიდი ტრაგედიები და არეულობები ცივი გონებით უნდა გაანალიზოს და შედეგად მიღებული სავალალო მდგომარეობა გონივრულად აწონ-დაწონოს. უპირველეს ყოვლისა, მუსლიმმა თემმა უნდა გაიგოს, რომ მოდერნისტული იდეები და განსხვავებული ღირებულებები ისლამის მიერ მოტანილი ღრებულებების ალტერნატივა არ არის. მდგომარეობა არც ისე უიმედოა, რადგან მუსლიმებმა ხელახლა გაითავისეს ის ფაქტი, რომ იმ ღირებულებებზე მაღლა, რომლებმაც

ისინი მუსლიმებად აქცია, სხვა უფრო მაღალი და ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო ღირებულებები არ არსებობს. ეს კი მუსლიმების მხრიდან თავიანთ სარწმუნოებასა და რელიგიურ ღირებულებებზე მთელი გულწრფელობით დაკავშირებას უზრუნველყოფს.

მოდერნისტული სამყაროს მიერ შემოთავაზებული ღირებულებები ადამიანის სულიერ განვითარებას და იმ ღირებულებებს უგულებელყოფს, რომლებიც ადამიანს ადამიანად აქცევენ. მხოლოდ მატერიალიზმზე დამყარებული აზროვნება და ამ მიმართულებით წარმოქმნილი თავბრუდამხვევი ტემპი დედამიწას დიდად აზარალებს და აქ ცხოვრებას თანდათან უფრო გაუსაძლისს ხდის. ამგვარი ტენდენციის გამო განსაკუთრებით იმატა დასავლური ცივილიზაციის კრიტიკამ. გამომდინარე აქედან, ადამიანის სულიერი თუ მატერიალური ღირებულებების საზიანოდ შემოგდებული ეს მოდერნისტული იდეოლოგია უნდა დავივიწყოთ და ისლამის მიერ მოტანილ ღირებულებებს უნდა ჩავეჭიდოთ.

ამასთანავე, თანამედროვე სამყარო ქმნის საიმისო შესაძლებლობებს, რომ


muslim georgia
muslim international

muslimgeorgia
Georgia Humanitarian Charity

მუსლიმი თემი ერთმანეთის დაფასების, ერთიანობის, ერთსულოვნების გზითა და ძმური კავშირით ყოველგვარი პრობლემის წინაძე იმარჯვებდა და კვლავაც გაიმარჯვებს.

მუსლიმებმა ერთმანეთი უფრო იოლად გაიცნონ და ერთიანობის ატმოსფერო შექმნან. ჩვენ გველოდებიან ის უცნობი თანამორწმუნე ძმები, რომელთა სახელებიც კი არ ვიცით. დღევანდელი პირობები საკმაოდ ხელსაყრელია საიმისოდ, რომ მუსლიმებმა ერთმანეთი გავიცნოთ და ვიმეგობროთ. ამდენად, ეს ყველაფერი საუკეთესო მომენტია საიმისოდ, რომ მუსლმებმა განათლების, ხელოვნების, ეკონომიურ და სხვა სფეროებში ერთიმეორეს მხარდაჭერა გამოვუცხადოთ.

დღეს ჩვენი მოვალეობაა არსებული შესაძლებლობები გამოვიყენოთ, მანძილები შევამოკლოთ და ძმური კავშირები გავაძლიეროთ. ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიოში, თითქმის ყველა სახელმ-

წიფოში ცხოვრობენ მუსლიმები. ასევე ვიცით, რომ მუსლიმები ზოგადად დიდ დევნას და ტანჯვას განიცდიან. გამომდინარე აქედან, კაცობრიობას განსაკუთრებით სჭირდება ისლამის მიერ მოტანილი უნივერსალური გზავნილი გაცნობა, რათა კაცობრიობამ სიმშვიდე, კეთილდღეობა და შემწყნარებლობა მოიპოვოს.

იმ ქვეყნებში, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ, ხდება მოვლენები, რომლებიც აშკარა დასტურია იმისა, რომ

გარკვეული ძალები ჩვენი კულტურის, ღრეტულებების, სიცოცხლის, ქალების, ბავშვების განადგურებას ცდილობენ. ამის მაგალითებია სირიაში, ერაყში, იემენში, ლიბიაში, ეგვიპტესა და სხვა მუსლიმურ ქვეყნებში განხორციელებული მოვლენები. ამ ქვეყნებში მუსლიმი თემი ერთიანობა და მათი ეროვნული ღრსება უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა. გამომდინარე აქედან, უკვე დროა ერთმანეთს მხარში დავუდგეთ და ერთმანეთის გატანის, შემწყნარებლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის საჭირო რჩევები მივცეთ. ახლა დროა გონიერმა ადამიანმა ათასჯერ დაფიქრდეს და ერთხელ თქვას. ახლა დროა სიკეთისკენ მოვუწოდოთ ერთმანეთს და ბოროტებას ყველამ ერთხმად ვუთხრათ „არა!“